

საკუთარი ანარეკლის თვალთვლებას დიდი გამბედაობა სჭირდება. იმავე ბაგეებს, იმავე შრამს წარბთან, იმავე კეხიან ცხვირს, რომელიც არა თუ ამახინჯებს ქმნილებას, არამედ სრულყოფს მას, იმავე შეფაკვულ დაწვებებს და ბოლოს ყველაზე იდუმალს აწყდები... თვალს უსწორებ იმსამყაროელ შენეულ ვერსიას და ცდილობ მისი გაყინული თვალებიდან რამე ამოიკითხო, თუნდაც ერთი პატარა ემოცია, მაგრამ შუშა შუშა... რა უნდა მოსთხოვო...

\*\*\*

მოპარული ხელოვნება სულის ფერებად იხატება... სწორედ ამიტომ, რომ სულს ატანს ასლის შექმნას, რომელიც დიდი ხანია ასლი აღარაა... და ვინჩით დაიწყო, თუმცა ჰერმელინი სარკემ ჩანაცვლა, მარგალიტი სახე ოდნავ მოწში გადაიღვარა, ხოლო შებნეული დალაღები მთელს სხეულს მდინარედ დაუყვა.

სხეული მიჰყვება ფერებს. ფუნჯის მოძრაობებთან ასრულებს ვენურ ვალსს რომელიდაც კლასიკოსის თანხლებით. ოფლში გახვეული სუნამოს სურნელითაა გაქდენთილი ოთახი, რომლის ბნელ ფერებს აქა-იქ დაბუდებული ნატიფი კესანები ასხივოსნებენ.

შავი ფონი შემოდგომას შეეცვალა. თამამად ირეოდა ერთმანეთში ციტრინი, ტოპაზი და ლალი. თვალები ოპალია, თუმცა ხელში მოქცეულ სარკეს რომ გასწორებოდა, ალბათ, ისიც შუშისფერი გახდებოდა. გამჭირვალე, არაფრისმთქმელი...

ოპალი უმზერს შემქმნელ ღვთაებას... მხატვარს თვალებში ობსიდიანით. მორგანიდის ბაგეები სწრაფად შორდებიან და უერთდებიან ერთმანეთს, ნერვიულად აყოლებენ ბგერებს საღებავების სურნელებას. ობსიდიანი ობსესიით სავსე შეჰყურებს უცნობი არსის მატარებელს. ახლა უმისამართოდ ისვრის ფერებს. მისი სახე გაეცხო ციტრინს, ტოპაზსა და ლალს. ანარეკლი შორიდან უმზერს. უცნაური გადაწყვეტილებაა, ტილო დაუდგამს სწორედ იქ, საიდანაც ყველაზე ადვილად შეიძლება თვალთვალი. თითოეული ამოსუნთქვა ირეკლება და იდუმალ უსასრულობაში იფერფლება. მეორე შეცდომა სწორედ აწ უკვე ხსენებული მოპარული ქალის ხელებში მოქცეული ანარეკლის მშთანთქმელია. ადრე თუ გვიან იქ გადააწყდება ყველაზე მოულოდნელ შიშს. ახლა კი ისე ხატავს, როგორც არასდროს... თლილ თითებს აყოლებს საღებავების ტალღებს, რათა დარწმუნდეს, რომ სწორედ ისეთია, როგორც მას სჭირდება. ბოლო შტრიხებს სარკისთვის ინახავს. იოლი საქმე ჰგონია, მაგრამ, ვაი, რომ ცდები, ჩემო ხელოვანო. დეკალკომანია მხოლოდ ფურცლისთვის უჩუქნიათ წარსულის ფერებს. ანარეკლი და ტილოსთან მდგარი სხვადასხვა ხაზებს ავლებენ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით. სხვადასხვა ალი მოჩანს დიამეტრულ ობსიდიანში. ხელი მშვიდად უახლოვდება ფერებისეულ სარკეს. ხაზები, ჩრდილები, ფერთა გამა. ასარჩევთა შორის ყველაზე სწორად აარჩია მკრთალი შავი საფირი, თეთრი კარნელიანი და საბოლოოდ ბაცი აქუამარინი. ბოლო მონასმი დარჩა, თუმცა ხელი არ ემორჩილება... მხატვარი შეკრთა ობსიდიანი შიშით აივსო და უმისამართოდ დაიწყო თვალის ჭრილში მოძრაობა. მორგანიდი თრთის და ვერ ერევა უეცრად მოვარდნილ გრძნობას. ტილოს შორდება, დაჟინებით აჩერდება ოპალს, შემდეგ - აქუამარინის, მერე ისევ - ოპალს, მერე ისევ - აქუამარინს, მერე მზერა სულ

შემთხვევით შუშის ობსიდიანს სწვდება, ანარეკლის ობსიდიანს, რომელსაც მხოლოდ უსაფუძვლო თვითკმაყოფილება სწყდება. ისევ აქუამარინი... რას ხედავ, მხატვარო? ნუთუ ობსიდიანი შთაინთქა?

იმავე მორგანიდის ბაგეები, იმავე შრამი წარბთან, იმავე შეფაკლილი ძოწისფერი ღაწვები, იმავე კეხიანი ცხვირი, რომელიც არათუ ამახინჯებს, არამედ სრულქმნის...

და ბოლოს, მაინც ყველაზე მკაფიოდ ობსიდიანი გამოსჭვივის, რომელმაც სრულიად მოულოდნელად დაიკავა ოპალი და უცხო ობსესიით შეჰყურებს შემქმნელს...

მხატვარი ფუნჯს აგდებს, მას საღებავებიც მიჰყვება. ხალიჩა აივსო ციტრინით, ტოპაზით, ლალით, მარგალიტით, ძოწით, მორგანიდით, აქუამარინით, ოპალით და ბოლოს მაინც ობსიდიანით...

კესანები თვალს მიეფარნენ. ოთახში მხოლოდ ბნელი ფერები დარჩნენ. ახლა მხოლოდ თვალები არ იყო უმეტყველო დათვისებრი ობსიდიანი. წამით თვალები დახუჭა. გაახილა და ყველაფერი ადგილზეა. ოპალი დაბრუნდა, ობსიდიანი გაქრა. სარკე ისევ ჰერმელინმა ჩაანაცვლა...

\*\*\*

უცნობი მხატვრების მუზეუმში დალალები მდინარესავით დაუყვა მოხდენილ სხეულს.

ობსიდიანი ცოტა ხნით უცქერდა.

შემდეგ გატრიალდა და აღარც მიჰბრუნებია...

„ობსიდიანის კესანებიანი შემოდგომა“ სამუდამოდ დაემშვიდობა უსახელო ობსიდიანს.

მას შემდეგ ფუნჯი აღარც აუღია.